აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი
საარჩევნო კომისიის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 32

14 ივნისი 2004 წ. ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 20 ივნისის არჩევნებისთვის ზოგიერთი საარჩევნო პროცედურის განსაზღვრის შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 45-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნი:

ა) საარჩევნო უბანში კენჭისყრის პროცესი და კენჭისყრის მიმდინარეობის თაობაზე პრეტენზიები, საჩივრები და შენიშვნები აისახება კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში (შემდგომ – ჩანაწერთა წიგნი);

ბ) ჩანაწერთა წიგნის თითო ცალი საარჩევნო ბიულეტენებთან ერთად გადაეცემა საუბნო საარჩევნო კომისიებს;

გ) ჩანაწერთა წიგნი წარმოადგენს ე.წ. ზონარგაყრილ წიგნს. ზონარი ილუქება, დასალუქ ფურცელს ხელს აწერს საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი და დაესმევა საოლქო საარჩევნო კომისიის ბეჭედი. ჩანაწერთა წიგნის ყველა გვერდი დანომრილი უნდა იყოს და თითოეულ გვერდზე უნდა აღინიშნოს საარჩევნო ოლქისა და საარჩევნო უბნის ნომერი;

დ) საარჩევნო უბნის გახსნისთანავე იხსნება ჩანაწერთა წიგნი. წიგნის პირველ და მეორე გვერდზე ხელს აწერს მისი გახსნისას კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე ყველა პირი;

ე) ჩანაწერთა წიგნის მე-3 გვერდზე კომისიის მდივანს შეაქვს კომისიის წევრთა შორის წილისყრით ფუნქციების განაწილების შედეგები;

ვ) ჩანაწერთა წიგნის მე-4 გვერდზე კომისიის მდივანს შეაქვს გადასატანი ყუთის თანმხლები კომისიის წევრებისათვის გატანებული, კენჭისყრის

დასრულების შემდეგ გამოუყენებელი და საარჩევნო ყუთში აღმოჩენილი საარჩევნო ბიულეტენებისა და სპეციალური კონვერტების რაოდენობა;

ზ) ჩანაწერთა წიგნის მე-5 გვერდზე კომისიის მდივანს შეაქვს კომისიის წევრთა შორის ფუნქციების დროებით გადაცემის ინფორმაცია;

თ) ჩანაწერთა წიგნი გადაეცემა კომისიის მდივანს, რომელიც ვალდებულია წიგნში აღრიცხოს კენჭისყრის დღის ყველა პროცედურა და მიუთითოს მათი განხორციელების დრო;

ი)კენჭისყრის შედეგების შეჯამებისას შემაჯამებელ ოქმში შესატანი თითოეული მონაცემის დადგენისთანავე კომისიის მდივანს იგი შეაქვს ჩანაწეთა წიგნში (ამისათვის გამოიყენება მე-6 და მე-9 გვერდები) და სადემონსტრაციო ოქმში;

კ) კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე ყველა პირს უფლება აქვს კენჭისყრის დღეს საარჩევნო პროცედურასთან დაკავშირებული პრეტენზიები, საჩივრები და შენიშვნები შეიტანოს ჩანაწერთა წიგნში (ამისათვის გამოიყენება მე-10 და მომდევნო გვერდები), მიუთითოს მოწმეები (მათი არსებობის შემთხვევაში). ჩანაწერის შემტანი პირი ვალდებულია ჩანაწერთა წიგნში მიუთითოს თავისი გვარი, სახელი და რეგისტრაციის მისამართი;

ლ) არავის აქვს უფლება ხელი შეუშალოს კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე რომელიმე პირს ჩანაწერი შეიტანოს ჩანაწერთა წიგნში;

მ) ჩანაწერთა წიგნი კენჭისყრის შედეგების შეჯამების შემდეგ ილუქება და საუბნო საარჩევნო კომისიის სხვა დალუქულ საბუთებთან ერთად გადაეცემა ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიას;

მუხლი 2. საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი ვალდებულია კენჭისყრის დღეს ორჯერ, 12 და 17 საათზე, თითოეულ სარეგისტრაციო მაგიდასთან, რეგისტრატორებთან ერთად გადათვალოს ამომრჩეველთა სიებში კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობა და მათი ჯამი შეიტანოს საუბნო საარჩევნო კომისიის სადემონსტრაციო, შემაჯამებელ ოქმებსა და ჩანაწერთა წიგნში.

მუხლი 3. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. №5) მისი გამოქვეყნებიდან 3 კალენდალური დღის ვადაში.

მუხლი **4**. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ფაღავა

კომისიის მდივანი გიზო მჭედლიძე